დანართი
დამტკიცებულია:
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 28 თებერვლის N48 13 განკარგულებით

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ განვლილი 2018 წელი არამარტო ტყიბულის მუნიციპალიტეტის, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკურად დატვირთული და შედეგობრივად უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო ტყიბულის მუნიციპალიტეტისათვის გასული წლის 5 აპრილს, 2 ივნისსა და 16 ივლისს მინდელის შახტში დატრიალებული ტრაგედია. მეშახტეთა გაფიცვებმა, შახტის მშრალი კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანამ, სერიოზულად დაძაბა პოლიტიკური და სოციალური ფონი, რამაც ადეკვატურად იმოქმედა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებზე. მუნიციპალიტეტი ახლაც იმკის ტრაგედიის შედეგებს, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა პარალელურ რეჟიმში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ძალზედ რთული და მასშტაბური რეორგანიზაციის პროცესი. შედეგად ნაწილობრივ შეიცვალა მერიის სტრუქტურა. გადახალისდა მერის სამსახურების ხელმძღვანელები, გაერთიანდა კულტურისა და სპორტის მიმართულების აიპები, ნაცვლად 16-ისა ჩამოყალიბდა 6 სამსახური, რომელიც ორგანიზაციულად და შინაარსობრივად უკეთესია წინა სტრუქტურებზე, მაგრამ არა ბოლომდე სრულყოფილი. სტრუქტურების სრულად ჩამოყალიბებისა და დახვეწის მიზნით კვლავაც გაგრძელდება მუშაობა.

საპრეზიდენტო არჩევნებზე ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა მმართველ პოლიტიკურ ძალას, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“-ს და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა აჩვენა, რომ სადღაც შევცდით, ჩვენზე დაკისრებული მოვალეობები ადგილებზე ისე ვერ შევასრულეთ, როგორც ამას ამომრჩეველი მოითხოვდა, უკეთეს შემთხვევაში კი სახელისუფლო სტრუქტურების მიერ განხორციელებული რეფორმები, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აქტიურად მიმდინარეობს, მოსახლეობამდე ჯეროვნად ვერ მივიტანეთ. ეს რეალობაა, რომლის აღიარება, სწორი და ობიექტური ანალიზი, შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მომავალში თავიდან აგვაცილებს ახალ შესაძლო გართულებებს.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ტყიბულის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს, მადლობა თითოეულ თქვენგანს, დეპუტატებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ტყიბული-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ელგუჯა გოცირიძის მიმართ, რომელმაც მუნიციპალიტეტის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების სრული მობილიზება უზრუნველყო, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში და შედეგიც შესაბამისი დაიდო.

ეს მოკლე პოლიტიკური ექსკურსი იმიტომ გავაკეთე, რომ მსურს კიდევ ერთხელ შეგახსენოთ იმ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, რომელიც 2019-2020 წლებში გველოდება. მე, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის არჩეულ მერს, მწამს, რომ რაიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანობა, ურთიერთთანადგომა და პრობლემებთან ერთობლივი შეჭიდება, ახალ გამარჯვებებს მოიტანს, თუმცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებისა და სამსახურების მიერ, 2018 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ტემპები, მასშტაბურობა და ზოგჯერ ხარისხიც, მოსახლეობის გაზრდილ, აბსოლუტურად ლეგიტიმურ და ობიექტურ მოთხოვნებს ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს.

პროცესების სიღრმისეული ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ სამსახურების მიერ გაწეული მუშაობა უნდა გახდეს მოქნილი და ეფექტური, რადგან საზოგადოება მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან უფრო სწრაფ ტემპებს, მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, განათლებისა და კულტურის ობიექტებისათვის მეტ დაფინანსებას, ქვანახშირის მრეწველობის არა კონსერვაციას, არამედ მეტი სიმძლავრეებით ამოქმედებას, სოციალური პრობლემატიკის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, სპორტის, კულტურის, სოფლის განვითარების პროგრამების გაზრდის და მიზნობრივად, ხარისხიანად გამოყენებას.

დღევანდელი საკრებულოს სხდომა და მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მინდა გამორჩეული, მართალი, გულწრფელი და მომავალზე ორიენტირებული იყოს. ჩემი მიზანია ღიად ვისაუბრო პრობლემებზე. ვიყო თვითკრიტიკული და კრიტიკული მუნიციპალიტეტის სტრუქტურების მიმართ. მსურს თქვენთან ერთად ვიმსჯელო და მოვძებნოთ გზები საიმისოდ, რომ 2019 წელი მუნიციპალიტეტისათვის მეტი წარმატებების, პოლიტიკური სიმშვიდის, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის წლად გამოვაცხადო. ამისათვის მსურს თქვენგან მოვისმინო კვალიფიციური, ობიექტური და პროგრესზე ორიენტირებული წინადადებები და შენიშვნები ყველა სტრუქტურის მიმართ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოთხოვნები, ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის პირველი პირის მხრიდან მიმდინარე წლის განმავლობაში უკიდურესად გამკაცრდება, სამსახურის ხელმძღვანელი თუ საჯარო მოხელე, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ჯეროვნად ვერ, ან არ შეასრულებს, გამოემშვიდობება თანამდებობას. საკმარისზე მეტი დრო გავიდა, რომ სამსახურის ხელმძღვანელებს, თანამშრომლებს გამოეჩინათ მეტი პასუხისმგებლობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება და მიდგომები მინდობილი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის. ყველას პატივს ვცემ ადამიანურად, ვითვალისწინებ რეკომენდატორების აზრსაც, ზოგიერთი ხელმძღვანელის ამბიციასაც, მაგრამ ყველაზე მეტად პატივს ვცემ ამომრჩეველთა ნებას, ხალხის აზრს და იმედიან განწყობას, რომლებიც საზოგადოებას პირადად ჩემი პერსონის მიმართ გააჩნიათ.

ჩვენ ჩავატარეთ რეორგანიზაცია, როგორც საჯარო სამსახურში, ისე აიპებში. რა შედეგიც მივიღეთ თქვენთვისაც კარგად არის ცნობილი. რეფორმები კულტურისა და სპორტის დაწესებულებებში კვლავ გაგრძელდება, იგეგმება მერიის ოპტიმიზაციაც. საშემსრულებლო დისციპლინის მაღალი დონე, პროფესიონალიზმი და გამოცდილება გახდება საკადრო პოლიტიკის ქვაკუთხედი. საკრებულოსთან ერთად დავამუშავებთ ინიციატივებს და ობიექტურ, სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებ მერის და საკრებულოს ხელმძღვანელობასთან ერთად.

ახლა კი მსურს საკრებულოს წარუდგინო ანგარიში, მერიის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ მერის მარჯვენა ხელი და ადმინისტრირების მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით.

სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მიზნით მოქალაქეები ამ სამსახურთან კონტაქტობენ პირველ რიგში. ამიტომ როგორი განწყობით დაბრუნდება იგი მერიიდან, სწორედაც ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციასა და ლოიალობაზეა დამოკიდებული.

ადმინისტრაციის სამსახური უზრუნველყოფს მერიის სამსახურების საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან. სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. უზრუნველყოფს მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

2018 წელს მერიაში შემოვიდა 6 557 განცხადება და წერილი, 1 316 შიდა დოკუმენტი, რომლებიც გადაგზავნილი იქნა შესაბამის სამსახურებთან. კორესპონდენციების შესწავლისა და შესრულების შემდეგ ადრესატებს გადაეგზავნათ პასუხები. მერიიდან გასულია 5 240 წერილი, გამოიცა 1 884 ბრძანება.

ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს კონკურსების ჩატარებას. ჩატარდა 11 კონკურსი, მოხელეები კანონის შესაბამისად დაინიშნენ შესაბამის თანამდებობებზე.

საორგანიზაციო განყოფილების 36 თანამშრომელი ემსახურება 12 700 მაცხოვრებელს და ადმ. ერთეულების ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 5 075 კომლს. ინიცირებული აქტივობების შესახებ ინფორმაციები ოპერატიულად მიეწოდება თანამშრომლებს, ფიქსირდება ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ და სხვა.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მუხურის მაღალთიანი სტატუსის მინიჭებასთან, მიწის რეგისტრაციასთან, ქონების მემკვიდრეობის აღდგენასა და დანაშთი ქონების საკითხებთან დაკავშირებით. აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, ფეისბუქის გვერდი, სადაც მიმდინარეობს ინფორმაციისა და ფოტოების განთავსება აქტივობების შესახებ.

იურიდიული განყოფილების მიერ მზადდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები. უზრუნველყოფს საკრებულოში წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას და სხვა. კოორდინაციას უწევდა რეორგანიზაციას მერიასა და 12 არასამეწარმეო იურიდიულ აიპში.

2017 წლის დეკემბერში შემუშავებულ იქნა 2018 წლის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. გეგმა შედგენილია რისკების შეფასების საფუძველზე, ადრინდელი აუდიტის გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით. ასევე შემუშავებული იქნა შემოწმებულ ობიექტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის 2018 წლის წლიური გეგმა.

გეგმის შესაბამისად ჩატარებული იქნა აუდიტორული შემოწმება საინფორმაციო ცენტრში, საფეხბურთო სკოლაში, მუნიციპალურ თეატრში, ტურიზმის განვითარების ცენტრში, კულტურის ობიექტების გაერთიანებაში, შპს „ლაღორში“. შემოწმდა ქვეპროგრამები: გზის

მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, საცხოვრისით უზრუნველყოფა და ხანძრით, ბუნებრივი კატასტროფითა და სხვა მიზეზებით დაზარალებულთა დახმარებები, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

გარდა ამისა განხორციელდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

აუდიტის ობიექტებში აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლილია რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიო დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე.

თითოეულ ანგარიშში დეტალურად იქნა აღწერილი ის აუდიტორული აღმოჩენები, რომლებიც აუდიტორთა ჯგუფის მიერ მიჩნეული იქნა კანონთა შეუსაბამოდ, სუბიექტების მიმართ გაცემულია სათანადო რეკომენდაციები.

მერის მიერ მუდმივი კონტროლის ქვეშაა ანგარიშებში წარმოდგენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ სამსახური ღირსეულად ართმევს თავს დაკისრებულ, მეტად მძიმე ფუნქციასა და მოვალეობებს.

გასული 2018 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი, 2017 წლის დეკემბერში იქნა მიღებული და დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. განვლილი 2018 წლის შემოსულობების ოდენობა დაიგეგმა 11411,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 11247,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 96,5 %-ით. შემოსულობების გეგმის შესრულებას დააკლდა 163,9 ათასი ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შეადგენდა 14952,100 ათას ლარს, ფაქტიურად დაიხარჯა 10245,3 ათასი ლარი, რაც გეგმის მხოლოდ 68,5 %- ს შეადგენს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულებას დააკლდა 4,470 ათასი ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული თანხების ათვისება ვერ მოხერხდა. ეს ფაქტი ძალიან მძიმე მსჯელობის საგანი გახდება უახლოეს მომავალში და ადეკვატური ზომების მიღებაც ვფიქრობ საჭირო იქნება. მართალია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 68,5 %-ით შესრულებას ჰქონდა ობიექტური მიზეზები, მაგრამ ვფიქრობ სუბიექტურმა მიზეზებმაც გარკვეული როლი ითამაშეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ვერ შესრულებაში.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმამ შეადგინა 7080,8 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებულია 3545,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 50,1%-ია.

სამსახრის მიერ 2018 წლის განმავლობაში გამოცხადებულია 78 ელექტრონული ტენდერი, არ შედგა 28 ტენდერი, ანუ 35,8 %. გაფორმდა 218 ხელშეკრულება 6 400 ათას ლარზე.

ჯამში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა 2018 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა აქვე მინდა ვთხოვო სამსახურის ხელმძღვანელს, რომ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში მოთხოვნები იქნება მკაცრი, რათა 2020 წლის დასაწყისში ანალოგიურ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და იფრასტრუქტურის განვითარება ჩვენი რაიონის ხვალინდელი დღეა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა განსაზღვრავს ბიზნესსექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ბატონებო!

2018 წლისთვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა 8 ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის №2407 განკარგულების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 4 801 403 ლარი, სულ კი თანადაფინანსების ჩათვლით თანხამ შეადგინა 5 001 577 ლარი.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლების შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობას, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით გადაწყდა ელექტრონული ტენდერის სამ ლოტზე გამართვა:

1) სოფლები: ძუყნური, ბზიაური, საწირე, ძიროვანი, მუხურა, ცუცხვათი გაერთიანდა ერთ ლოტში. ტენდერში გამარჯვებული კომპანია გახლდათ შ.პ.ს. „მიმდები“. სახელშეკრულებო ღირებულება კი 668,399 ლარი. აღნიშნული მიმართულებით სამუშაოები შესრულებულია.

2) სოფლები: ორპირი, ორპირი (ჩაის ფაბრიკის დასახლება), კურსები, კურსები (გოგოლაშვილები), ჯვარისა გახლდათ მეორე ლოტი, ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. „საპოვნელა“-მ, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 552,236 ლარი. სამუშაოები წარიმართა გეგმა-გრაფიკის დარღვევით, მოცემულ ეტაპზე დარჩენილია სოფელ ორპირის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3) სოფლები: ციხია, ხრესილი, ხრესილი (ობოლაძეების უბანი), გურნა, წყნორი, ძმუისი, სოჩხეთის მიმართულება იყო მესამე ლოტი. ტენდერში გამარჯვებული კი კვლავ შ.პ.ს. „საპოვნელა“. პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 547,723 ლარით, აქაც კერძოდ კი სოჩხეთის მიმართულებით სამუშაოები წარიმართა გეგმა-გრაფიკის დარღვევებით. დარჩენილია სოფელ წყნორის ორი მიმართულებით არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ზემოთ აღნიშნული ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ შ.პ.ს. „საპოვნელა“-მ, რომელმაც ჯამში 1 099 959 ლარის ოდენობის ტენდერი მოიგო, მასზე დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა. ადგილობრივი მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული იქნა კანონით განსაზღვრული ზომები და შ.პ.ს. „საპოვნელა“-ს ორივე შემთხვევაში დაეკისრა შესაბამისი პირსაგამტეხლოს გადახდა, მაგრამ შედეგი უარყოფითი მივიღეთ. მოსახლეობა უკმაყოფილოა და ამ უკმაყოფილებას არც მალავს. ისმის კითხვა, რა მოხდა? ჩვენ ხომ არ დავაკელით რაიმე? რამ შეუშალა ხელი „საპოვნელა“-ს ნაკისრი მოვალეობების შესრულებაში? ფაქტი ერთია, შ.პ.ს., რომელიც მუნიციპალიტეტში 2 უმსხვილეს ტენდერში იმარჯვებს და ერთ მილიონიან ტენდერს იგებს, უფრო მეტი ყურადღების, შემოწმების, კონტროლის ქვეშ უნდა იყოს შესაბამისი სამსახურებიდან, ეს იმას მიუთითებს, რომ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად სუბიექტურმაც იჩინა თავი და შედეგიც უარყოფითი მოიტანა. პასუხისმგებლობას ვიზიარებ მეც, როგორც მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამის სამსახურებთან ერთად და კატეგორიულად მოვითხოვ, რომ კონკურენტი ფირმის შემოსვლისთანავე დეტალურად შევამოწმოთ მისი ისტორია, სამუშაო გამოცდილება, განხორციელებული სამუშაოების დროულობა და ხარისხი, პასუხისმგებლობა აღებული სამუშაოებთან მიმართებებში და ამის შემდგომ მივიღოთ გადაწყვეტილება მათთან ხელშეკრულებების გაფორმებასა და შემდგომ თანამშრომლობაზე. სამართლიანობა

მოითხოვს აღინიშნოს, რომ შესყიდვების სააგენტოს ჩვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონია.

ბატონებო!

გასული 2018 წლის განვლილ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სოფელ საწირის სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა. მოგეხსენებათ, რომ წლების განმავლობაში აღნიშნული პრობლემა გადაუჭრელი და მოუწესრიგებელი იყო, ხელისუფლებამ ამ პროექტზე მუშაობა რამდენიმე ხნის წინ დაიწყო და შეიძლება ითქვას, რომ შედეგი მიღწეულია. პროექტით განსაზღვრული სამუშაოები 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო. ტენდერში კომპანია შ.პ.ს. „ნიუმშენმა“ გაიმარჯვა, სახელშეკრულებო თანხის ოდენობა 700 000 ლარს შეადგენს, გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაოები 2019 წლის თებერვალში უნდა დასრულდეს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ქ. ტყიბულში თაბუკაშვილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი, სადაც 960 გრძივი მეტრის 20 სანტიმეტრიანი არმირებული ბეტონის საფარი დაიგო. გზის საფართან ერთად ჩატარდა გარე განათების, საყრდენი კედლის, სანიაღვრე არხების, ბორდიურების, ტროტუარების, ორი ერთეული თანამედროვე ტიპის მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები. ამ მომენტისათვის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია, შ.პ.ს. „მიმდემმა“, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და ხელშეკრულება 1 100 000 ლარზე გააფორმა მერიასთან, დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად შეასრულებს.

გასულ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრბული ყურადღება დაეთმო ქალაქში განთავსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოების რეაბილიტაციას. 2018 წელს აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად რ.გ.პ. ფონდიდან, სამ ეტაპად, ჯამში გამოიყო 931 703 ლარი. აქაც შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა და სამუშაოები გამოცხადდა ორ ლოტად.

1) პირველი ლოტი: ჯალაღანიას ქ. №16-29, რუსთაველის №1-23 კოსტავას №2, გამსახურდიას №22-ის კორპუსის ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „მიმდემი“-ს მიერ, სახელშეკრულებო ღირებულებით 344,800 ლარი. (5 ეზო)

2) მეორე ლოტი: რობაქიძის ქ. №7, გამსახურდიას ქ. №1-3, გამსახურდიას ქ. №10, მეშახტის ქ. №6, ბრეგვაძის ქ. №46, ჯალაღანიას ქ. №9, გამსახურდიას ქ. №51, კოსტავას ქ. №11, რუსთაველის ქ. №2-4, კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს გამარჯვებული კომპანია „მიმდემის“ მიერ, სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 586,900 ლარს. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში უნდა დამთავრდეს. (9 ეზო).

გასული საანგარიშო წლის განმავლობაში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად განხორციელდა ქალაქის შიდა გზების ბეტონის საფარით კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, პროექტის განხორციელების მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტ“. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 300 000 ლარს. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტებზე (ბარათაშვილის ქ. №3-5-7, გაბრიაძის ქ, გაბრიაძის ქუჩის მეორე შესახვევი, დუმბაძის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ტყვარჩელის ქუჩის მეორე შესახვევი, ტყვარჩელის ქ. №17 მიმდებარე

ტერიტორია, ტყვარცელის ქ.“ სოკარი“-ს მიმდებარე ტერიტორია, ჭელიშვილის ქ. მეორე შესახვევი, ახობაძის ქ, სოლომინ მეორის და სააკაძის ქუჩების (14 ქუჩა) კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით ჩამოთვლილი ლოკაციებიდან დასრულებულია დუმბაძის, სოლომონ მეორის, სააკაძის, ტყვარჩელის ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაცია. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადა 2019 წლის 05 მარტია.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულების საფუძველზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის, გამოყოფილი იქნა 1 000 000 ლარი. პროექტის მოცულობიდან და კატეგორიებიდან გამომდინარე სამუშაოები სამ ლოტად დაიყო:

1) საყრდენი კედლების რეაბილიტაცია-გამაგრება
2) სახურავების შეკეთება-რემონტი
3) ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია

საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოებზე ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. „ალომ ევროტექნიკოსმა“, სახელშეკრულებო ღირებულებით 399 389 ლარი. სამუშაოები ამ ეტაპზე მიმდინარეობს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადა არის 2019 წლის 19 მაისი.

რაც შეეხება შენობა-ნაგებობების, სახურავებისა და ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებას, შ.პ.ს. „გლობალ ინვესტ გრუპი“ და „ლა ნოვა ხეორხია“ შესაბამისად ახორციელებს აღნიშნულ სამუშაოებს.

2018 წლის 30 ნოემბერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიური მოვლენების გამო დაზიანდა 71 ობიექტი, აქედან 47 კერძო პირსა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას გადაეცა სამშენებლო მასალები, ზიანის საკუთარი ძალების აღმოფხვრის მიზნით, 24 ერთეული მუნიციპალურ და კერძო საკუთრების ობიექტებზე დღემდე მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები.

ზემოაღნიშნული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის მერიის მიერ შეძენილი იქნა 326 408 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა. სადღეისოდ სამშენებლო მასალები სრულად გადაცემულია კერძო სუბიექტებზე, ხოლო სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, შემსრულებელია ინდ. მეწარმე რუბენ ლუტიძე და შ.პ.ს. „ხელმარჯვე ოსტატები“. სახელშეკრულებო ღირებულება გახლავთ 142,580 ლარი, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადა კი მიმდინარე წლის თებერვალი.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ ჩემის აზრით ძალიან მნიშვნელოვან ფაქტზე. გასულ 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოიყო სულ 211,321 ლარი. მიმაჩნია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის მომავალში უფრო მეტი თანხის მობილიზება უნდა განხორციელდეს. მერიამ საკრებულოსთან ერთად უნდა შეძლოს საბიუჯეტი თანხების პროპორციული და კონკრეტულ პროექტებზე გადანაწილება. საბიუჯეტო თანხების 60 და 70 პროცენტი არ უნდა ხმარდებოდეს მხოლოდ სახელფასო ფონდს, ხოლო ყველა სხვა მიმართულებებზე იხარჯებოდეს მინიმალური თანხები. მე როგორც მუნიციპალიტეტის მერი უახლოეს მომავალში გავმართავ კონსულტაციებს მერიისა და საკრებულოს შესაბამის

სამსახურებთან, რათა ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე მოვახდინოთ სამსახურების ოპტომიზაცია და შედეგად გამონთავისუფლებული თანხები ინფრასტრუქტურის შემდგომ რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის გამოვიყენოთ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები. მაგ: აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ქ. ტყიბულის მე-7 საჯარო სკოლაზე, პროექტის ღირებულება 3 570 000 ლარია, საჯარო სკოლა ექსპლოატაციაში 2019 წლის ნოემბერის თვეში შევა, ორპირი-სოჩხეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომლის მთლიანი ღირებულება 10 880 000 ლარია, სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. 2019 წელს უნდა დასრულდეს აგრეთვე გელათის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია, პროექტის ღირებულება 1 488 867 ლარია. დასრულდა „ცხრაჯვარის“ გარემოს რეგულირების გეგმის დამუშავების პროექტი, რომელიც შეიძლება უპრეცედენტო იყოს ქვეყნის ისტორიაში, რადგან, არცერთ მუნიციპალიტეტს ანალოგიური გეგმა დამოუკიდებლად არ შეუქმნია. მან წარმატებით გაიარა ექსპერტიზა ინფრასტრუქტურის სამინისტროში. ამასთან მინდა გითხრათ, რომ მუნიციპალური თეატრის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაცია დასრულების ფაზაშია. იგი რა თქმა უნდა ექსპერტიზას ექვემდებარება.

წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტი მზადდება და იმედია მ/წელს დაიწყება მისი მშენებლობა.

გარე განათების საკითხი მოგვარდება. ქ. ტყიბული გახდება „სინათლის ქალაქი“. ჩაბნელებული და უღიმღამო ქალაქის ნაცვლად მივიღებთ ლამაზ განათებულ დასახლებას. ვგეგმავთ ლუკოილიდან ჩაის ფაბრიკამდე გარე განათების მოწყობასაც. პარალელურად გაუმჯობესდება სოფლად არსებული გარე განათების ქსელიც.

ერთი სიტყვით ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება და მომავალშიც განვახორციელებთ, თუმცა არსებობს სხვა მიმართულებებიც, სადაც უფრო მეტი ფინანსური რესურსის მობილიზებაა საჭირო, რათა მოსახლეობის შეჭირვებულმა ფენებმა, რომელიც სამწუხაროდ არც თუ დაბალი პროცენტია ჩვენს დღევანდელ რეალობაში, იგრძნოს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა და თანადგომა. ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახლავთ სოციალური სფერო:

გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტყიბულის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 370 000 ლარი. ზემოთ ხსენებული ფინანსური რესურსი მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ გადანაწილდა 6 პროგრამაზე.

1) ინდივიდუალური დახმარების ქვეპროგრამაზე, რომელიც მოიცავს ასევე ერთჯერადი სოციალური დახმარების მიმართულებას, გამოიყო 170 000 ლარი, გასული საანგარიშო წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამის რეალიზაციისათვის დაიხარჯა 199 000 ლარი. ციფრებიდან ჩანს, რომ გამოყოფილი 170 000 ლარი არ ეყო პროგრამის რეალიზებას, საჭირო გახდა 29 000 ლარის დამატებით მობილიზება, რომელიც შიგა რესურსების გამოყენებით მოახერხა სოციალურმა სამსახურმა. ფაქტია, რომ მომავალში მუნიციპალიტეტის საპროგრამო ბიუჯეტის დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზებას ინდივიდუალური დახმარების

ქვეპროგრამის მიმართულებით, რათა შეჭირვებულ ადამიანთა მიმართ დახმარებამ უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს.

2) ახალშობილთა დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების ფარგლებში დაიხარჯა 29 000 ლარი.

3) სარიტუალო ქვეპროგრამის განსახორციელებლად სამსახურის მიერ მობილიზებული იქნა 3 000 ლარი (მიზნობრივი ტრანსფერის სახით). გახარჯულია 1 200 ლარი.

4) საცხოვრისით უზრუნველყოფა და ხანძრით, ბუნებრივი კატასტროფითა და სხვა მიზეზებით დაზარალებულთა ქვეპროგრამაზე გამოიყო 60 000 ლარი, გახარჯული იქნა 59 483 ლარი.

5) სოციალური სერვისების ქვეპროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალურ სასადილოს და სოციალურ სამრეცხაოს დაფინანსებულ იქნა 78 000 ლარით. აღნიშნული თანხიდან სოციალურ (უფასო) სასადილოზე გაიხარჯა 71 295 ლარი, ხოლო სოციალური სამრეცხაოთი მომსახურებაზე 1 800 ლარი.

6) ვეტერანების ქვეპროგრამის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იყო 12 000 ლარი, საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა 9 700 ლარი. ციფრებიდან ჩანს, რომ თითქოს 21 000 ლარის ეკონომია გაკეთდა, სინამდვილეში აღნიშნული თანხა მოხმარდა ეპილეფსიით, პარკისონიზმით, ცერემბრალური დამბლით, ხანდაზმულობით, საოპერაციო-სამკურნალო მიმართულებით და სხვა მოთხოვნებით შემოსული განცხადებების დაკმაყოფილებას. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. მწირი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე ვერ შევძელით მოთხოვნილებების სრულად უზრუნველყოფა და დაფინანსება. გავითვალისწინეთ რა 2018 წლის ანალიზის შედეგები 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტი დააფინანსებს არა 6 ქვეპროგრამას, არამედ 8 ქვეპროგრამას. ესეც მინიმალურია, თუმცა შარშანდელზე უკეთესი. სწორედ ამიტომ ვსაუბრობდი სულ რამოდენიმე წუთის წინ ოპტიმიზაციისა და თანხების მობილიზების აუცილებლობაზე, რათა მომდევნო წლებში სოციალური მიმართულებით უფრო მეტი პროგრამების დაფინანსება უზრუნველვყოთ. ვაცხადებ, რომ სოციალური თემატიკა მერიის მუშაობის პრიორიტეტია და ამ მიმართულებით დროული და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება.

ბატონებო!

მოგახსენებთ, რომ განვლილი 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრა ქ. ტყიბულში გორგაძის ქ. №10-ის მიმდებარედ 466 მ.კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სოფ. კურსებში მდებარე 5 604 მ.კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ქ. ტყიბულში ტყვარჩელის ქუჩის №51 მდებარე 18 313 მ.კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, კომუნალური მეურნეობის მოძრავი საშუალებების განთავსების მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ძირითადი ქონების სახით დარეგისტრირდა ე.წ „ცხრაჯვარის“ ტერიტორიაზე მდებარე 58 845 მ.კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სახელმწიფოს მიერ გადმოგვეცა და ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა გამსახურდიას ქ. №8-ში საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული 217,5 მ.კვ. არასაცხოვრებელი ფართი, რომელშიც განთავსებულია ეროვნული გალერიის ფონდი.

სულ აუქციონების შედეგად გაყიდული ქონებით შემოსულმა თანხამ შეადგინა 59 370 ლარი, რაც 9 370 ლარით მეტია 2018 წლის გეგმასთან შედარებით.

პარალელურად მიმდინარეობდა და დასრულების ფაზაშია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი. წლების განმავლობაში აღნიშნული საკითხი შესაბამისი ყურადღების გარეშე იყო მიტოვებული. ველოდები საინვენტარიზაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებებს ქონების აღწერასთან დაკავშირებით. სრულყოფილი მასალების წარმოდგენის შემდეგ მიღებული იქნება ადეკვატური ზომები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარკვიოთ რა რაოდენობის, კატეგორიისა და თანხების ქონებასთან გვაქვს საქმე.

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულია მშენებლობის 7 ნებართვა. ხორციელდება კონტროლი წინა წლებში მიღებული ნებართვებით მიმდინარე მშენებლობებზე. ზედამხედველობის სამსახური უშუალოდ ახორციელებს კონტროლს დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება-ადმინისტრირების კუთხით. განხორციელდა ერთწლიანი ხელშეკრულებების გაფორმება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში. სულ გაფორმებულია 231 ხელშეკრულება და 2018 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ამოღებულია 30 295 ლარი, გეგმით გათვალისწინებული 20 000 ლარის ნაცვლად. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სამსახურმა ძირითადად შეძლო მოეგვარებინა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდა მოსახლეობას. კერძოდ: ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ყოველგვარი ექცესებისა და დაპირისპირების გარეშე გათავისუფლდა გარე მოვაჭრეებისაგან. პროცესი გაგრძელდება და უფრო ორგანიზებული გახდება გარე-ვაჭრობისა და პარკინგის თემატიკა. სამსახური აქტიურად არის ჩართული სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის, საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შესწავლის, ავარიული ნაგებობების დემონტაჟისა და მიმდინარე მშენებლობების ზედამხედველობით მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესში.

განვლილი 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების კუთხით გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასაკეთებელი უფრო მეტი გვაქვს. საჭიროა ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩართვა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, მეტი აქტივობა და ინიციატივა მათი მხრიდან, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და სპორტული ღონისძიებების სისტემური მოწყობა, ლიტერატურული საღამოების ორგანიზება, ნიჭიერი, შემოქმედებითი ახალგაზრდობის გამოვლენა და წახალისება. სამსახურმა მეტი კოორდინაცია უნდა გაუწიოს კულტურის ობიექტების გაერთიანებას.

2018 წლის იანვრიდან დღემდე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ფოლკლორის, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისათვის გაიმართა მრავალი მასობრივი კულტურული ღონისძიება: საახალწლო, ,,ფიზიკური აქტივობა ყველასათვის სასარგებლოა“, სარვამარტო, 9 აპრილის, 9 მაისისა და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული (გაიხსნა სამხატვრო გალერეა, სადაც მოეწყო სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, თეატრში მოეწყო ფილმის ჩვენება ,,ექვთიმე ღვთისკაცი“, ხელოვნების სკოლაში გაიმართა რევაზ ლაღიძის საღამო, ჩატარდა ესეების კონკურსი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის, მოეწყო მძლეოსნური

გარბენი. სოფელ ორპირში გაიმართა სოფლის დღესასწაული სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებით, ცხრაჯვარზე აღიმართა საქართველოს დროშა და ჩატარდა გალა-კონცერტი).

„დავითობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით მონაწილეობა მივიღეთ გელათის სამონასტრო კომპლექსში ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ობიექტების ამსახველი ფოტო-მასალის გამოფენით.

მონაწილეობა მივიღეთ ქ. ქუთაისში მუხრანის ტყე-პარკში გამართულ ,,ქუთაისქალაქობის“ დღესასწაულში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, სპორტულმა კოლექტივებმა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა, მოვაწყვეთ სამხატვრო სკოლის ნამუშევრებისა და ტურისტული ადგილების ამსახველი ფოტო-მასალის გამოფენა, ასევე მონაწილეობა მივიღეთ ქ. ქუთაისში გამართულ თეატრალურ ფესტივალში.

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 19 მაისს მოვაწყვეთ აქცია ,,ღამე მუზეუმში“, სადაც ჩატარდა წერითი კონკურსი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის დამოუკიდებლობის დღის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით 23 ივნისს ჩავატარეთ მძლეოსნური გარბენი და შეჯიბრი სწრაფ ცურვაში.

1-10 აგვისტოს გაიმართა ჩემპიონატი ფეხბურთში სოფელ მუხურაში უბნებს შორის. ჩვენი სამსახურის მხარდაჭერით (შევუძინეთ ბურთები).

9 აგვისტოს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“ ჩვენი სამსახურის მხარდაჭერით.

24 აგვისტოს მოკრძალებულად აღინიშნა მეშახტის დღე (ეკლესიაში გაიმართა შახტში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ექსკურსია და გაიმართა დისკუსია თემაზე ,,ქვანახშირის მოპოვება და მისი წარმოება“, ყვავილებით შეიმკო მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი).

14 სექტემბერს დავაჯილდოვეთ საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც 2018 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვეს 100%-იანი გრანტი.

2 ოქტომბერს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში ,,დედაღვთისას“ მონასტრის ტერიტორიაზე ჩვენი სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სახალხო დღესასწაული ,,მურყანვაზობა“.

31 დეკემბერს ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრში გაიმართა საახალწლო ღონისძიება. მოწვეული იყო მუსიკალური ჯგუფი ,,ამნეზია“. კონცერტის მსვლელობისას დაჯილდოვდნენ კულტურისა და ხელოვნების სფეროს დამსახურებული მუშაკები, ასევე დაჯილდოვდნენ 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენები და წარმატებული მწვრთნელები.

მასობრივი სპორტის პოპულარიზაციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აქტიური სპორტული ცხოვრება. სპორტის სასახლეში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება მუნიციპალიტეტის საჯარო უწყების თანამშრომელთა მონაწილეობით.

მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველად, ადგილობრივი ძიუდოს სკოლის აღზრდილი ილია სულამანიძე კადეტებში ევროპის თასის მფლობელი და ახალგაზრდული ოლიმპიადის მონაწილე, რომელიც 90 კგ-იან წონით კატეგორიაში მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია მოხვედრილი, მწვრთნელთან ერთად დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი. ასევე

დაჯილდოვდა ნოემბრის თვეში მწვრთნელთან ერთად მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიადაში ვერცხლის მედლის მოპოვებისათვის.

ყოველწლიურად ტრადიციულად იმართება ბავშვთა საჭადრაკო ფესტივალი ,,ტყიბული", რომელშიც 30-მდე ქალაქი და მუნიციპალიტეტია ჩართული.

ჩვენი საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ თამაშებში. ასევე ჩართული არიან პროექტში ,,სპორტი ბარიერების გარეშე".

საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეჯიბრი სწრაფ ცურვაში.

საზეიმოდ გაიხსნა სოფელ გელათის საჯარო სკოლის ახლად რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სპორტული ინვენტარით, სადაც ვარჯიშებს გადის 80-მდე სკოლის აღსაზრდელი. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდა შეჯიბრება მინიფეხბურთში, რომელშიც ჩართული იყო 220-მდე ახალგაზრდა. ასევე საჩუქრებით დააჯილდოვა ლიდერბეთმა (თასებითა და ბურთებით).

ოქტომბრის თვეში დავაჯილდოვეთ საქართველოს პირველობის მრავალგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი ეროვნული კატეგორიის არბიტრი, ლიცენზირებული მსაჯი იოსებ ლორთქიფანიძე.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში ,,ლიგა 3"-ში მიღწეული წარმატებისათვის დავაჯილდოვეთ შპს ტყიბულის საფეხბურთო კლუბი ,,მეშახტე".

მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულია ტურიზმის განვითარება. ორდღიანი ლაშქრობის ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა 25 კმ-იანი საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი ,,გელათის მონასტერი - ცუცხვათის მღვიმოვანი - ახალსოფლის წყალსაცავი", რომელშიც მონაწილეობდა 40-მდე მონაწილე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა, საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ საქმიანობასთან ერთად, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა დაქვემდებარებაში მყოფ საკოორდინაციო სამსახურებთან (კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის ა.(ა.)ი.პ.-ებთან) ერთად.

მოგახსენებთ იმასაც, რომ მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო დაწვევა წარმატებით განხორციელდა. სამსახური მუშაობას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართავს.

ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი დელეგირებული უფლება მოსილების ფარგლებში ანხორციელებს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობასა და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას, განხორციელების ხელშეწყობას და ლოჯისტიკას, მალარიის გადამტანების ფაუნის შესწავლას, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების მონიტორინგს, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მონიტორინგს, პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

გრიპისა და გრიპისმაგვარ დაავადებებზე მეთვალყურეობა დაიწყო საანგარიშო წლის მე-40 კვირიდან და ავადობის მაჩვენებელს ეპიდემიური ზღვრისათვის არ მიუღწევია. გრიპის

საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა სამედიცინო პერსონალი და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები სულ 71.

სხვა ინფექციური დაავადებებიდან რეგისტრირებულია ქრონიკური ვირუსული ც ჰეპატიტის 47, ქრ ვირუსული ჰეპატიტი ბ 5, სავარაუდო ინფექციური დიარეის 87, ჩუტყვავილას 51, ქუნთრუშას 7, ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზის 1, შიდელოზის 1 შემთხვევა.

ინფექციური დაავადების პროფილაქტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმუნიზაციას, რომელიც სახელმწიფო ფარგლებში წარმოებს 12 დაავადების საწინააღმდეგოდ.

ვაქცინაცია ტარდება სოფლის 10 ამბულატორიაში და ქალაქად სამედიცინო კორპორაცია ევექსის ტყიბულის ჰოსპიტალში.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იმუნიზაციის გეგმის შესრულება 92-100%. წითელას აცრების ჩატარებამ 1 და 5 წლის ასაკში 95-100% შეადგინა.

დადებითი ტენდეცია შეიმჩნევა ვაქცინაციის ვადების დაწყებასთან დაკავშირებით, რასაც ხელი შეუწყო მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებამ.

ჩვენი მხრიდან ვაქცინაცია შეთავაზებულია 41 წლის ასაკის პირებზე, აქტიურობა დაბალია. საანგარიშო პერიოდში დკსჯეც-დან მიღებულია ვაქცინები, ტესტები და სხვა სახარჯი მასალა ღირებულებით 47 775 ლარი, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად გაიცემა იმუნიზაციის პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებზე.

საქართველოს კანონის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საფუძველზე 1 მაისიდან 30 ნოემბრის ჩათვლით თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით მონიტორინგი განხორციელდა 156 ობიექტზე მ.შ სახელმწიფო, სასწავლო-სამედიცინო დაწესებულებებში, კაფე რესტორნებში, სასტუმროებში, თეატრებში, სილამაზის სალონებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ობიექტებში.

ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება 2007 წლის 23 ოქტომბრის №28 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა. მისი მიზანი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება, შემოქმედებითი და შემეცნებითი უნარების ფორმირებაა. გაერთიანების დაფინანსების ერთადერთი წყარო ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებია. განვლილ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში სკოლამდელ განათლებაზე მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტიდან გამოიყო 960 000 ლარი. 2018 წლის 12 თვის განმავლობაში ათვისებული იქნა 953 169 ლარი. აღნიშნული თანხიდან 664 147 ლარი დაიხარჯა შრომითი ანაზღაურების მუხლში-69,7%, 206 545 ლარი საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებას მოხმარდა - 21,7 %, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა 1 338 ლარი, ახალი ინვენტარისა და საჭირო მასალების შესაძენად დაიხარჯა 9 876 ლარი, კომუნალური და შეშა-გათბობისათვის 56 796 ლარი, ხოლო დანარჩენი ხარჯებისათვის 14 467 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ციფრებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები ყოველწლიურად იზრდება, თუმცა იზრდება სახელფასო ფონდიც, რადგან ბაღებში ასაკობრივი ჯგუფების მატების შესაბამისად აუცილებელია საჭირო პერსონალით დაკომპლექტება, შესაბამისად აუცილებელი ხდება კვების თანხების ზრდა, მაშინ, როცა

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამშრომლების ხელფასის მატების, სარემონტო სამუშაოების, საჭირო მასალებისა და ინვენტარის შეძენის სახსრები უცვლელი ხდება.

დასკვნა ერთია, ბიუჯეტიდან ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის გამოყოფილი ასიგნებები საკმარისი არ არის და მომავალი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა და შესაბამისმა სამსახურებმა აღნიშნული უნდა გავითვალისწინოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფაქტიურად 70% სახელფასო ფონდს ხმარდება. ვფიქრობ აქაც სერიოზული დაფიქრება გვმართებს. უფრო ზუსტად, ოპტიმიზაცია გაერთიანებასაც უნდა შეეხოს და გამონთავისუფლებული თანხები ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების დონეზე სრულყოფას უნდა მოხმარდეს.

ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის კომუნალური გაერთიანების მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხი და დროულობა მთლიანად განსაზღვრავს ქალაქის იერსახეს, დასუფთავება-კეთილმოწყობა, საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობა პირდაპირპროპორციულად აისახება ქალაქია იერსახის და მოსახლეობის გუნება-განწყობაზე.

ამ მიზნებისათვის გასული 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამული ბიუჯეტიდან კომუნალური გაერთიანების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი იქნა 805 000 ლარი. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით 130 000 ლარის ოდენობის ცვლილება შევიდა ა.(ა.)ი.პ. კომუნალური გაერთიანების ბიუჯეტში. ჯამური 851 838 ლარიდან საწყის სუბსიდირებული თანხა განისაზღვრა 675 000 ლარით, შემდგომში სუბსიდია-130 000, ხოლო საკუთარი შემოსულობები 46 838 ლარი. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ხარჯმა შეადგინა 848 640 ლარი, მთლიანი ბიუჯეტის 99,6%.

ზემოთ აღნიშნული თანხები კომუნალური გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ გადანაწილებული იქნა შემდეგ მიმართულებებზე:

კეთილმოწყობის სამსახურის ხარჯვითმა წილმა შეადგინა 281,883 ლარი, დასუფთავების სამსახურის მიერ დაიხარჯა 324,448 ლარი, ხოლო ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და მექანიზაციის მიმართულებით 42 309 ლარი. ორგანიზაციის სახელფასო ბიუჯეტმა განვლილ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 517 703 ლარი, ხოლო საშუალო სტატისტიკური ხელფასმა ერთ თანამშრომელზე დასაბეგრი მოცულობის ჩამოკლებით 287,6 ლარი, რაც ძალიან მცირეა. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქაც თანხების გამონთავისუფლება გარდაუვლად უნდა მოხდეს და დასაქმებულ თანამშრომლებს გაეზარდოთ შრომის ანაზღაურება.

საერთოდ მიმაჩნია, ა.(ა.)ი.პ. კომუნალური გაერთიანებისათვის გამოყოფილი თანხები არასაკმარისია. საჭიროა ახალი სატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებები, სამშენებლო, სარემონტო მასალები, საწვავი და ასე შემდეგ. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა, საჭიროა მომავალი წლის პროგრამულ ბიუჯეტში გაითვალისწინოს შენიშვნები, რომელზედაც ახლა მე ვსაუბრობ.

ანგარიში რა თქმა უნდა არ მოიცავს ყველა დეტალსა და წვრილმანს, რომელთა გამოც მერიას მოუწია წლის განმავლობაში მიემართა ძალისხმევა, ასევე ვერანაირად ვერ ავსახავდით იმ გამოწვევების თაობაზედ, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენენ ხოლმე თავს. შევეცადე აქცენტი გამეკეთებინა მხოლოდ ძირითად თემებზე. ახლა კი მზად ვარ ვუპასუხო თქვენს შეკითხვებს, მოვისმინო წინადადებები და შენიშვნები რაც არ უნდა მწვავე და კრიტიკულიც იყოს.